

# ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გარდამავალი პერიოდის შეფასება

## სალომე გუგუშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლარისა პატარაია

მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2018 წელი

## განაცხადი:

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

სალომე გუგუშვილი

თბილისი, 21 ივნისი, 2018 წელი.

## აბსტრაქტი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრი პოლიტიკური გამოწვევაა სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია. ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტური მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს ხაზი გაუსვას საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ეტაპობრივ წინსვლას და 2017 წლის 26 ივლისის ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ცვლილებით დეცენტრალიზაციის არსის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას. ძირითად საკვლევ კითხვას წარმოადგენს, თუ რას ემსახურებოდა 2014 წელს შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველი ქალაქების 2017 წელს ისევ თავიანთ პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება. რა პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა და გაუქმდა მათი უფლებამოსილებები?

ნაშრომში განხილულია საქართველოს მთავრობის ადგილობრივი თვითმმართველობის უმნიშვნელოვანესი რეფორმის, 2013 წლის საქართველოს მთავრობისა დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგია, სტრატეგიასთან დაკავშირებული ევროსაბჭოს რეკომენდაციები და მათი ასახვა და 2014 წლის 5 თებრვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომელმაც სამართლებრივად უზრუნველყო თვითმმართველობების დაფუძნება და ფუნქციონირება.

საკვლევ კითხვიდან გამომდინარე ნაშრომში გამოყენებულია პირდაპირი ინტერვიუები ექსპერტებთან და თანამდებობის პირებთან. ქალაქი ზუგდიდი შეირჩა როგორც თვითმმართველი ქალაქი 2014 წლიდან -2017 წლამდე)

ძირითადი საძიებო სიტყვები : „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; კანონი; დეცენტრალიზაცია; მუნიციპალიტეტი; ადგილობრივი თვითმმართველობა; ქალაქი;თემი; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ; ბიუჯეტი; მერი/გამგებელი; საკრებულო; წარმომადგენლობითი ორგანო; მოქალაქეთა თანამონაწილეობა. საქართველოს მთავრობა; საქართველოს პარლამენტი;

## ABSTRACT

In recent years, the main political challenge the Georgia face is the state decentralization, as well as development of effective local self-government system. Presented work aims to underline the gradual progress of local self-government in Georgia and set under a question the essence of decentralization according to changes of Organic Law on Local Self-Government Code, issued on July 26, 2017.

The main survey question is to understand the main idea of returning the local self-governing cities created in 2014 to the initial stage in 2017. What was the basic principles resulted in creation and cancelation of their authorization.

The work includes the most important reform of Georgian government regarding the self-governance, the strategy of government decentralization and development of self-governance adopted in 2013, as well as Council of Europe recommendations about the strategy and their reflection in new local Self-government Code, serving the legal provision of setting up the local self-governments.

Apart from survey question, the work includes the direct interviews with experts, officials and society focus groups in Zugdidi (Zugdidi City has been selected as self-governing city between 2014-2017).

**Key Words: Georgian Government, Georgian Parliament, Self-governing Cities, Administrative Units, Law, Citizens, Budget, Mayor, Governor, European Convention about Self-Governing Municipalities.**